№ 241

კვირა, 4 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12. . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11. . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10. . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9. . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8. . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7. . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 241

კვირა, 4 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოოზის ქუჩა, № ..., ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

კვირას, 4 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ფული და ხარისხი

კომ. 3 მოქმედებად, თხზ. აზიანისა.

II

ძალად ცოლის შერთვევინება

კომ. 1 მოქმედებად დ. მოლიერისა, თარგ. დ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ლე-...ვა, მდივანი, გივიშვილისა და სხვ. ბ-ნნი: აბაშიძე, ცუნია, სვიმონიძე, ...გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს 8 ნოემბ.; მზადდება შემდეგი პიესები: „მსხვერპლისათვის მსხვერპლი“ დრ. 3 მოქ., „ტარტიუფი“ კომ. 5 მოქმედებად. (3—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(...უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ...არაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Пeрвая частная лечебница—д-ра Навас?рдіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

...კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ...აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ა. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ს. ა. ვოინო—ხირურგიული (სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ინჟინერი

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზედ დანიშნულია „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიურის კრების გაგრძელება, რომელზედაც განხილულ იქმნებიან: 1) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავლისა და გასავლისა 1901 წ.; 2) არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა; 3) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

*** დღეს, 4 ოქტომბერს, ქართულ თეატრში ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს ქ-ნ აზიანის პიესას „ფულსა და ხარისხს“ და მოლიერის კომედიას „ძალად ცოლის შერთვევინებას“.

*** დღეს ნაშუადღევის 1½ საათზედ გაიხსნება სახაზვი კლასები მოზარდ ხელოსნებისა და ოსტატებისათვის, რომელსაც რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილება აარსებს ტფილისში, რკინის გზის ქალაქის სასწავლებელთან, დიდუბეში, ყორღანოვის სახლში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს განკარგულება

# ფელეტონი

—

მასალათი

წარსულ „ინციდენტის“ გამო.

„საშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად.“

რუსთველი

წერა-კითხვის საზოგადოების კრებამ, რომელიც წარსულ კვირას მოხდა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, დიდი კამათი და ქიშპობა დაჰბადა ქართველობაში. გატეხილი-კი უნდა მოგახსენოთ, რომ მაგრე რიგად საყურადღებო და ასაშფოთებელი არა მომხდარა-რა: ორმა წევრმა ერთმანეთს მკვახე და უსაქციელო სიტყვა ესროლეს, თავჯდომარემ კიდევ, კრების სურვილის წინააღმდეგ, არჩევნები გადასდო, მერამე დასი ამხედრდა... ეს და ერთი სხვა წვრილმანი ამბავი, სახელდობრ ისა, რომ გამგეობის წევრმა საკოლეგიო ითიკა დაარღვია და ამხანაგებს გადუდგა,—აი რა შეიქმნა მიზეზად იმ ალიაქოთისა და აურზაურისა, რომელიც კრების დარბაზიდგან, ერთის თვალის დახამხამებაზედ, მთელს ინტელიგენციას მოედო!.. ზოგან ამ „ინციდენტის“ გამო ისეთის აღელვებულ კილოთი ლაპარაკობდნენ, რომ მართლაც გასაოცარი იყო. მაგრამ ასეა ხოლმე ყოველგან, სადაც ცხოვრება უაზრო და უშინაარსოა, სადაც საზოგადოება უფერულია და სადაც საქმიანობის მაგიერ ჭორია გამეფებული. საუბედუროდ, ჩვენი ცხოვრება იქამდე დაწვრილმანდა და დაფუქსავატდა, რომ სულ უბრალო ჩვეულებრივი კინკლაობა და მამლაყინწაობა დიდ ამბავად გვეჩვენება ხოლმე, საზოგადო ხასიათის და ტიპის მოვლენად გვეზმანება და მზად ვართ გაუთავებელი განგაში ავტეხოთ და ობობიას ქსელები გავაბათ... დიდად სავალალოა, როცა საზოგადოება, თუ ინტელიგენცია ასრეა მოკლებული საქვეყნო ალღოს და უმეტესად იმის ყურადღებას მარტო „სკანდალი“ იპყრობს. ვითომ რაო, რომ კრებაზედ ერთმა და ორმა ზრდილობა შელახა და თავაზიანობა უარ-ჰყო?! სხვაგან ასეთს „სკანდალს“ მეორე წუთსვე დაივიწყებდნენ. ჩვენ-კი გვსურს, ასეთის „სკანდალის“ საფუძველზედ დასთა და პარტიათა შეხლა და შებმა ავაშენოთ და კრების წევრნი ერთმანეთს შევატაკოთ. ყველა ეს ნუ თუ ცხადად არ ამტკიცებს ჩვენს ზნეობრივს უძლურებას, ჩვენს მოქალაქობრივს განუვითარებლობას. სხვაგან უფრო უარესი ხდება, მაგრამ მაინც აინუნშიაც არ იგდებენ. ვის არ მოეხსენება,—რა ორონტრიალი და მუშტის კრივი მომხდარა თვით პარლამენტის კრებებზედ და რა ცემა-ტყეპა, წვერისა და თმების გლეჯა ატეხილა დეპუტატთა შორის სხდომის დროს?! მაგრამ იქ მაინც აზრისა და საგნის სახელით იბრძვიან, იქ პრინციპს და მოძღვრებას ემსახურებიან და კრების ტრაგიკულს „ინციდენტს“ უმალვე ჩაილულის წყალს ალევინებენ. ჩვენს თავ-მოყვარეობას-კი საზღვარი არასოდეს არ ჰქონია და არც ახლა აქვს. მცირედი შეურაცმყოფობა საკმაოა, რომ ჩვენს აშფოთებულ გულს მსხვერპლად თვით საქვეყნო საქმე შევწიროთ. ეს უბადრუკი ზნე და თვისება ჰღუპავდა ჩვენს წარსულს და აწმყოსაც იგი ავერანებს. თუ მართალი გნებავთ, ჩვენი საზოგადოებრივი ველურობა სწორედ თავმოყვარეობის ასეთს უსაზომო გაბატონებასა და გამეფებაშია. აი აქ არის სენი და ჭლექი ჩვენებურის კრებისა. მაშ რაღა საკვირველია, რომ წარსულ კრებაზედ მომხდარმა „სკანდალმა“ მთლად შეიპყრო საზოგადოების სული და გული და ჩვენ მარტოოდენ ამ ამბის გამო მონად გარდაგვაქცია ჟინისა და დაუცხრომელ ვნებათა ღელვისა?! დიაღ, ჩვენი საზოგადო ზნე ჯერ ისევ მეტად დაბალ წერტილზედ სდგას და ჩვენც თითქმის არაფერი მანძილი გაგვივლია აქამომდე იმ დროიდგან, რუსის ლიტერატორის თქმისა არ იყვეს,

„когда для насъ было ново
значеніе правды и добра“...

✦✦

თვით აწინდელი „საზოგადო კრება“ ჩვენთვის ახალი ამბავია, ახალი სკოლაა და ამიტომ უწვრთნელობა და სხვა ამგვარი გარეგანი ზადი მიუცილებლად თან სდევს. მართალია, საეროვნო კრება სულ ძველადაც იყო ხოლმე და ჩვენს მეცნიერს ბ-ნს ხახანაშვილს რომ ჰკითხოთ, საქართველოს წარსულს ცხოვრებაში თვით კონსტიტუციის და პარლამენტის ნასახიც-კი მოიპოვებოდა, მაგრამ მაინც ჩვენის დროის „კრება“ სხვა სათავიდგან წარმოსდგა და სხვა ბუნებისგან წარმოიშვა. ასეთი კრება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივის თაოსნობის შვილია, მაგრამ ამ შვილის აღზრდას ცხოვრება არც წინად უწყობდა ხელს და არც ახლა უწყობს: ჯერ იყო და ბატონ-ყმობამ სრულიად დაახშო და დათრგუნა ერის თაოსნობა; მერე კიდევ ამას ზედ სხვა გარემოება დაერთო.

საზოგადო საქმის კრების საშუალებით ან გზით მართვა და მოურნეობა დიდად ნაყოფიერი და სასარგებლო იქმნებოდა, მაგრამ სავარამო და სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება და კერძოდ ინტელიგენცია, ნებ-უნებურად, ჯერ კიდევ ღონე-მიხდილი და გაუწვრთნელია. ცხოვრებაშიაც ხომ თვითეულ ნაბიჯზედ საზოგადოებრივი

მოუხდენია, რომ რკინის გზის სადგურებზედ უბედურების თავიდგან ასაცილებლად ბარგის მზიდველები დანიშნულ დრომდე, სახელდობრ, ვიდრე უბარგო მგზავრები არ გადმოვლენ და მორიგი რკინის გზის კაცი არ აცნობებთ—ახლა-კი დროა, შეგიძლიანთ ბარგის გამოსატანად შეხვიდეთო, ვაგონებში შესვლა არ შეეძლოთ.

⁂ გამოცხადებულია, რომ ფაბრიკებთან სამკურნალო დახმარების შემოღება კანონით სავალდებულოა.

⁂ ამ წინაზედ პეტროვსკ-ბალაჯარის რკინის-გზის შტოზედ მომხდარ უბედურებას აი, როგორ აღგვიწერენ: 24 ოქტომბერს მატარებელი ექსპრესი ორის ორთქლმავლითა და 6 ვაგონით, საღამოს 7 საათზედ, ლიანდაგიდგან გადავარდა; ბარგის ვაგონი გადაბრუნდა, სასადილო ვაგონი ბარგისას შეეჭდო, I კლასის ვაგონიც გადაბრუნდა, II კლასისა გვერდზედ დაეცა, ლიანდაგიდგან გადავარდა, ბოლო ვაგონი-სამზარეულოთავისს ადგილას დარჩა; სამზარეულო ვაგონის გარდა ყველა სხვა ვაგონები დაზიანებულია. ვაგონში მყოფ 70 კაცისაგან დაშავებულია მხოლოდ ორი, ერთი მოხუცებული დედაკაცი და ერთიც ახალგაზრდა, რომელიც ფეხებით გამოათრიეს ვაგონის ფანჯრიდგან. დანარჩენები მხოლოდ შეშინდნენ.

⁂ ნათლუღის სადგურიდგან გვწყებიან, რომ 2 ნოემბერს მატარებელს № 144 მე-294 ვერსზედ 16 წლის მიხეილ ივანძის ნატროშვილისათვის მარცხენა ფეხზედ გადაუჭლია და თითები წაუწყვეტია. დაშავებული საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

---

# სახელდახელო

(ყბად-აღებული და წყალ-წაღებული ამბავი)

დღეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიურ კრების დასასრული უნდა მოხდეს.

წარსულის კვირის კრება ესოდენ საყურადღებო იყო, რომ უეჭველად დღესაც გაჰმართავენ „მესამე დასელები“, როგორც ზოგიერთნი უწოდებენ ამ „დიდის სურვილის მქონე“ ვაჟბატონებს,—წარმოდგენას.

ჩვენში თითქმის მაგალითი არა ყოფილა, რომ პირველს კრებას რომელისამე საზოგადოებისას საკმაო რიცხვი წევრთა დასწრებოდეს და კრება შემდგარიყოს.

ამას ისე მივეჩვიეთ, რომ კრებაზედ დასწრების მსურველიც-კი იკითხავს ხოლმე, პირველია ეგ კრება, თუ მეორე. პირველისათვის არ შეიწუხებს თავს, რადგან იცის, რომ არც სხვები „შეიწუხებენ“.

ამიტომ ყოველმა ჩვენმა „საზოგადოებამ“ კრება რომ პირველადვე „მეორეთი“ დაიწყოს, ე. ი. განაცხადოს,—„მეორე კრებაა“, ანუ მეორე მიწვევაა კრებაზედაო, კარგს იზამს.

აი, ჩვენმა მაცოცხლებელ-მაცხოვნებელმა „მესამე დასელებმა“, ამ საზოგადო საქმის ჯამში ორისავე ხელის ჩათითხვნის „დიდის სურვილის მქონე“ ვაჟბატონებმა, სწორედ ამ „პირველს“ კრებას მიატანეს.

იცოდნენ, რომ არავინ იქნება და იქ, სად არავინ არის, ჩვენ რადმე გამოვჩნდებითო.

მართლაც, „გამოჩნდნენ“.

მოგეხსენებათ, ყოველ საქმეს კენჭი სწყვეტავს, ანუ ხმათა უმრავლესობა, ხმათა რიცხვი... ვოლტერისა არ იყოს, ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს, თორემ ამ თვლის წესით ორი სულელი ყოველთვის აჯობებს ერთს ჭკვიანს.

იქ, სადაც ორი უგუნურია, ერთს გონიერს აღარ დაედგომება, რადგან რაზედაც უნდა დასძრას კრინტი, კენჭს უყრიან და ორი ერთად შეერთებული უგუნური ყოველთვის დასძლევს ერთს გონიერს.

აი, ამ სიმრავლეზედ ააშენეს თავისი იმედი და, გაიოცეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ პირველს კრებაზედ „მოიყვანეს“ ისეთნიც-კი, რომელნიც სულ უმძრახად ჰბრძანდებიან წერა-კითხვასთან, ან იმდენად მცირე ნაცნობობა აქვთ, რომ ათასში ერთხელ შორიდგან თუ დაუკრავენ თავს.

მათი უმრავლესობა საკვირაო სასწავლებელთა მოსწავლეები იყვნენ.

„მესამე დასის“ წევრთ საზოგადოდ ერთი სურვილი ასულდგმულებთ: მიჰლეწონ, მიანგრიონ, მიამტვრიონ ყველაფერი, რომ ამ ნამტვრევებში „სული“ დაირჩინონ.

აწინდელს საქმეთა ვითარებას ვერ ურიგდებიან, რადგან ჰგრძნობენ, რომ „მეტნი“ არიან და ნიჭით და საქმიანობით ვერას გახდებიან, რომ სხვათა ყურადღება როგორმე დაიმსახურონ.

ყოველს მათგანს რაიმე კერძო სურვილი ამოძრავებს ამ საზოგადო საქმეში.

ყველას ერთად-კი „დიდი სურვილი“ აქვთ საქვეყნო მესაჭეობისა და ეს „დიდის სურვილის მქონე პატარა წრე“ არავითარს საშუალებას არ ერიდება, რომ ლელო გაიტანოს.

ყოველი გზა რომისაკენ მიდისო, გაუგონიათ ძველი ანდაზა, და ასე ჰგონიათ, რომ ყოველი საშუალება საქები იყოს.

ჩვენ სრულიად არ თანავუგრძნობთ მესამე დასელების ძირითადს აზრს: დაინგრას აღშენებული, რათა ახალის აშენება შეიძლებოდესო.

რაც აშენებულია, ის დეე ჰგიებდეს; სჯობს, თუ უნარი შეგვწევს, აუშენებელი ავაშენოთ.

ეს გახლავთ ჩვენი დედა-აზრი.

რაც აშენებულია, ის დასანგრევად რომ ადვილად გამოვიმეტოთ, ვაითუ ახალი ვეღარ ავაშენოთ და დავრჩეთ ცალიერნი.

ან რომელსა და რა საქმეში გამოიჩინა ამ ,,მესამე დასმა‘‘ საამშენებლო უნარი, რომ ყველაფერს ეჭიდება ძეპოტინება დასანგრევად?!.

გაიხსენეთ „მესამე დასელების“ მოქმედება ქუთაისში წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კრებაზედ, ბათუმში, სენაკში და აქაც, ტფილისს, გაიხსენეთ, საზოგადოდ რა სამარცხვინო კვალს სტოვებს მათი ჩვენის ცხოვრების მდინარის პირზედ ძირიდგან ამოტივტივება, შეუდარეთ ყველა ეს წარსულ კვირას „წერა-კითხვის საზოგადოების“ კრებაზედ მომხდარს და დამეთანხმებით, რომ „მესამე დასი“ არ შეცვლილა და ყველგან წყალის ამღვრევას სცდილობს, რომ პაწია ჭიჭყინები დაიჭიროს.

ყოველ ზემო თქმულის საბუთად გაიხსენეთ წარსული კრება.

აი, ერთი სურათი ამ კრებისა.

ვსარგებლობთ „ცნობის ფურცლის“*) ანგარიშით, რომ მიკერძოულობა, თუ ასე ითქმის, არავინ შეგვწამოს.

ბ-ნი პ. სურგულაძე, ეს ,,დიდის სურვილების მქონე პატარა წრის‘‘ წარმომადგენელი, შეეხო ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლებში ქართულის ენის სწავლების საქმეს და ქუთაისის სასწავლებლის უფროსის მოქმედებას.

ბ-ნი ე. თაყაიშვილმა პასუხი უგო და ბოლოს დასძინა: ,,რაც შეეხება სკოლის უფროსზე სიტყვებს ბ. სურგულაძისას, მე უხერხულად მიმაჩნია, რომ ამ საგანზე ილაპარაკოს ისეთმა პირმა, რომელიც ვერ შეეთვისა ორსავე სკოლას.‘‘

აი, ამ სიტყვებისათვის ბ-ნს ე. თაყაიშვილს ბ-ნმა პ. სურგულაძემ „უსინიდისო“ უწოდა და მეორე მისმა მსგავსმა, ბ-ნმა ჯუღელმა უზრდელ სიტყვა-პასუხის მქონეს სახელით მონათლა ის კაცი, რომელიც ჩვენს საუკეთესო სასწავლებელშია მიწვეული ჩვენთა მოზარდთა უფროს აღმზრდელად.

ბ-ნი პ. სურგულაძე ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყოფილა და ვერ დამდგარა, ქუთაისისაში გადასულა და ვერც იქ დამდგარა.

ორივედგან გამოსული ორივეს იწუნებს და ჰკიცხავს.

*) № 1626.

მართალიც რომ [illegible] სი აწინდელი რ[illegible] ადამიანმა „უხერხულად მიიჩნიოს“.

ჩვენ აქ ,,უხერხულს‘‘ არასა ვხედავთ, მაგრამ შეიძლება სხვას ,,უხერხულად‘‘ ეჩვენოს და ეს არც საოცარია, არც დასაგმობია.

აქ აზრთა სხვა-და-სხვაობაა და ბ-ნმა თაყაიშვილმაც თავისი განსხვავებული აზრი წარმოსთქვა და სხვა არაფერი.

ამისათვის მხოლოდ მ. ნ. პ. სურგულაძესთანა და ს. ჯუღელისთანა უბოდიშო ვაჟბატონები თუ უწოდებენ ვისმე ,,უსინიდისოს‘‘ და ,,უზრდელ სიტყვა-პასუხიანს‘‘.

ასეთის სიტყვა-პასუხით შეიარაღებულნი ვაჟბატონები არც ერთს მართებულს საზოგადოებაში შესაწყნარებელნი არ არიან და რაც ჩქარა იქმნებიან ღირსეულად დაფასებულნი, მით უკეთესია.

აი, ასეთ რაინდთა მოქმედებას ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე ,,მიმართულებას‘‘ უწოდებს.*) ეს მიმართულებაა ყველაფრის შეგინება, შელახვა, შეურაცხება და მინგრევ-მონგრევა!!.

ეს „მესამე დასი“-კი არა, რაღაცა ,,ბრბოა“. თუნდა „მესამე“ უწოდეთ...

ასეთი შინაური ,,ბრბო‘‘ გარეშე მტერზედ უარესია, რადგან დროშაზედ საქმის კეთების სურვილი უწერია და ამ წარწერით იმისთანა გულ-უბრყვილოთაც იზიდავს და იმხრობს, როგორნიც წარსულ კრებაზედ დამსწრე საკვირაო სასწავლებლების მოსწავლენი არიან.

ჩაიკითხეთ წარსულ წლიურ კრების ანგარიში, ამ კრებაზედ მიღებულ წევრთა ვინაობას თვალი გადაავლეთ და დარწმუნდებით, რომ ამ ,,ბრბოს‘‘ მომხრენი შარშან ჩაწერილან ,,საზოგადოების‘‘ წევრებად, რომ წრეულს ,,მოქმედება‘‘ დაეწყოთ.

მაშასადამე, ,,წინათვე განუზრახავთ‘‘ ის, რასაც მოწადინებულნი არიან.

*) „ცნ. ფურც“ № 1624.

---

თაოსნობა დაბრკოლების მეტს ვერას ჰპოვებს.

კერძოდ ჩვენი გულ-გრილობა და დაუდევრობა თვით-მმართველობის საქმეში სწორედ რომ საზღაპროა და მეტად აშკარად ღაღადებს ჩვენს ცავრდომილობას, ჩვენის საზოგადო მაჯის დადუნებას. ყოველთვის ჩივილი და სამდურავი გაისმის,—ესა და ეს კრება არ შესდგა, რადგანაც ხუთის თუ ათის მეტი წევრი არ მოვიდაო. სირცხვილი გულს გიწყლავს, როცა ასეთს ,,ცნობის ფურცელს‘‘ იღებთ ხელში. მაგრამ რას ვიზამთ?—დროთა-ვითარება მეტად მძიმე ტვირთად გარდაიქცა. ჩვენი დაძაბუნება აშკარაა და ცხადი. ვნახოთ, მომავალი რას მოგვცემს. როგორც უკვე გაკვრით შევნიშნეთ, არც ჩვენი წარსული ცხოვრება ეხმარებოდა თაოსნობის აღზრდას. წოდებრივი სხვა-და-სხვაობა, ძველებური ფეოდალური აგებულება პირდაპირი მტერი იყო საზოგადოებრივის თაოსნობისა, რომელიც მხოლოდ მაშინ იშვა, როცა ძველი შენობა დაირღვა. ყოველ შემთხვევაში, ახალმა დრომ ახალი ძალა დაჰბადა.

მაგრამ რაც უნდა იყვეს, მაინც ცხადია, რომ ჩვენს საზოგადოებას და ინტელიგენციას გული აცრუებული აქვს ,,კრებაზედ‘‘ და ჯერ კიდევ დიდი დრო გავა, ვიდრე საქვეყნო საქმის კრებით მოვლა ჩვენ მოთხოვნილებად და საჭიროებად გარდაიქცევა და საზოგადოებრივი თაოსნობა ცხოველ-მყოფელ ძალად შეიქმნება... სხვის უზრუნველად თავის პატრონობას და მოვლას თავისი ისტორია და სკოლა აქვს... არც ერთი და არც მეორე ჩვენ არ გაგვივლია და თუ ასრე ვბორძიკობთ საზოგადო ასპარეზზედ, იმიტომ რომ ჯერ ისევ ყრმანი და ბავშვნი გახლავართ. თუ არ გჯერათ, მაშ მიიხედ-მოიხედეთ, რა ხდება სხვაგან, სადაც საზოგადოებრივი თაოსნობა ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და სადაც ეს ზნეობრივი ძალა ცხოვრების ღერძად გარდაქცეულა...

⁂

როცა კრება საზოგადოების საჭიროებად არ შექმნილა, მაშინ კრება ცალიერს ყალაყბოს წარმოადგენს და საქმიანობასაც მოკლებულია. ასეთის ხასიათისა არის უმეტესად ჩვენებური კრება. ამ კრების თვითეული წევრი უფრო გასართობად და თვალის წყლის დასალევინებლად თუ მიდის დარბაზში. უმრავლესობამ ხომ არც-კი იცის,—რა საკითხი და რა საგანი უნდა განიხილოს კრებაზედ, რა სწადია კრებას, რას ესწრაფვის, რა მიზანს მისდევს. ყველა ეს თითქო მეტი ბარგი-ბარხანაა და, თითო-ოროლას გარდა, უმრავლესობა უვიცობით და უმეცრებით მოცულია... ეს უმრავლესობა ღვთის ანაბარა ჰზის დარბაზში და მხოლოდ სეირს უცქერის, როცა ორატორნი იბრძვიან, თუ არა და—პირ-ღია საცოდავად კედლებს მისჩერებია. მართლაც და, უფერულობა და უსიცოცხლობა თითქო ბუნებიდგან დაყოლილი თვისებაა ჩვენებურის კრებისა! ეგრეც უნდა იყოს, რადგანაც თვით საზოგადო ცხოვრებაც უფერული და უსიცოცხლოა. ცხოვრების სიძაბუნე და ინერცია საკრებულო დარბაზში გადადის და თავისის მძიმე და მოშხამულის ჰაერით სულსა და გულსა ჰხუთავს. აქ სიტყვის მოსაჭრელად იქმნება ბანკის წარსულ კრებებზედ მიმითითოთ. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ იმ კრებებს სულ სხვა ძალა, სულ სხვა მანქანა და პირადი ანგარიში აღფრთოვანებდა. თუ გნებავთ, ის აღფრთოვანება „გალვანიზმის“ საშუალებით სწარმოებდა და ბუნებრივად არ მომდინარეობდა საზოგადოებრივის თაოსნობისაგან. მაშ თუ ეგრე არ იყო, რატომ არ ეტყობა სხვა ჩვენს კრებებს იგივე ცხოველ-მყოფელობა და გატაცება?!...

უსიცოცხლობას და უფერულობას აბდა-უბდაობა და ურიგობა მოსდევს. ეგრეც არის ხოლმე ჩვენებურს კრებაზედ. ორატორები შემთხვევით და ალალ-ბედობით გამოდიან სალაპარაკოდ. ძნელად თუ ვისმე მოეპოვება რაიმე პროგრამმა, რაიმე საქვეყნო საგანი, საზოგადო მთავარი აზრი. უკაცრავად კი ნუ ვიქმნებით,—თითქმის ყველა მჭევრს „ენის ქავილი“ და თავ-მოყვარეობა ამოძრავებს და აბორგებს სიტყვის „საშადრევნოდ“. ხუმრობა საქმე ხომ არ არის,—მეორე დღეს გაზეთში გამოიჭიმები, როგორც ქვეყნისთვის მოჭირნახულე ორატორი და მოდი და ნუ გაირჯები!... ირჯებიან კიდეც: თვითეული თავზედ ხელ-აღებული უვიცი და უმეცარი წევრი მიუცილებლად „სიტყვას“ თხოულობს და მთელ საათობით სტენჯავს და ჯვარს აცვავს ყოვლად საბრალო და მომთმინო საზოგადო კრებას!...

აზრიანი და გზიანი ლაპარაკი იშვიათად მოიპოვება თვით ნაფიც ორატორთა შორის. მართალია, აწინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება არც საქვეყნო მჭევრობას ჰშველის და ეხმარება, მაგრამ აქ ჩვენს საკუთარს დაუდევრობას და უვარგისობას საკმაო ადგილი უჭირავს. თვით ორატორნი არ სცდილობენ, თითქმის თითსაც არ ანძრევენ, ღირსეულად გაუძღვნენ მოვალეობას ტრიბუნის წინაშე, და თუ სადამდე დაკემული და პატივაყრილია ჩვენი მჭევრობა, ამას ამტკიცებს ის უტყუარი ფაქტი, რომ ბევრს ნიჭიერს ორატორს არ ეხერხება ქართულად ლაპარაკი და საზოგადოდ ყველანი უფრთხიან და ერიდებიან—სათქმელადაც-კი სათაკილოა!—მშობლიურს ენას!.. მაშ ჩვენებური კრება რა სკოლა და

თუ საზოგადო საქმის გულის ტკივილი ჰქონდათ, სად იყვნენ შარშანდლამდე, რატომ იქამდე არ გაწევრდნენ და „საზოგადოების“ საქმეთა წალმართად სვლას არ ედიდაბოძნენ.

სად იყვნენ აქამდე ეს გომელაურები, მამ[illegible]ლაიშვილები და ჯულელები? რაღა ამ ერთს, ან ორს წელიწადს წამოუარათ ასე უცბად და ძლიერად საზოგადო საქმის გულის-ტკივილმა!..

შარშან საწევრო ფული შეიტანეს, რომ წრეულს საკვირაო სკოლათა გულ-უბრყვილო და სხვისის ფეხის-ხმის ადვილად ამყოლ მოსწავლეთა დახმარებით საგამგეობო კოფოზე წამოსკუპდნენ და საზოგადო საქმის საჭე ხელთ მოიგდონ.

აი, ეს გახლავთ ამ „დასის“ „მიამრთულება“, რომლის პატივსაცემლადაც გვიწვევს ბ ნი არჩილ ჯორჯაძე.

დაგვილოცნია ბ ნ ჯორჯაძისათვის მისი პატივისცემა, ჩვენ ასეთს „მიმართულებას“ პატივს ვერა ვცემთ...

ვნახოთ დღეს რითი დაგვირგვინდება ეს ჩვენის ცხოვრების ყბად ასაღები და წყალ-წასაღები მოვლენა...

ჩიორა

---

## ისევ კრების გამო.

უცნაური და გაუგებარი რამ არის სწორედ ზოგიერთა ქართველ ახალგაზრდის ბუნება: თქმა და გადათქმა აზრისა, სიტყვის მიცემა და შემდეგ ისევ უარყოფა ნათქვამისა, მოწონება და დაწუნება ერთისა და იმავე კაცისა, მოქმედებისა და საგნისა და სხ. ჩვენთვის სულ არასფერია! დღეს ერთს ვამბობთ, ხვალ სულ სხვასა და ნათქვამისა და უართქმულისა არასოდეს არა გრცხვენიან, თითქოს ჩვენთვის თავმოყვარეობა და სიმტკიცე აზრისა კლდვა და მეტი ბარგი იყოს. ყველაფრისა და ყველას განქქას ადვილად ხელსა ვკიდებთ, მაგრამ არასოდეს საგნის გაცნობას, დაახლოვებით შესწავლას არა ვცდილობთ, რომ შემდეგ ჩვენისავ აჩქარებულისა და უნიადაგო მხილებისა არ შეგვრცხვეს.

მაგრამ სირცხვილი რას გვიქვიან: ჩვენს განზრახვას—სხვისა გაშვებისა და ჩვენის გათეთრებისას—საქვეყნოდ გამოვფენთ ხოლმე იმ სუბუქის ალტაცებითა და „ვნებათა ღელვით“ სწორედ, როგორც ეს ამ დღეებში ჩვენის მეზობელ გაზეთის ერთმა მუდამ აჩქარებულმა მეთაურმა მოაზრემა სთქვა და ორი-სამის დღის შემდეგ-კი „გახურებულ გრძნობიერებითა, გაზვიადებულ თავმოწონებითა და ხმოვანი (?) სიტყვებით“ თავბრუდასხმულნი ისევ უკუთქმითს ხასიათს მივცემთ ნათქვამსა და შინაურსა თუ გარეულს გზა-კვალს ავუბნევთ, ვეღარავინ რას გაიგებს—რა მოვიწონეთ, რა დავგმეთ, ვინ გავათეთრეთ და ვინ გავაშავეთ, თუმცა ერთისაცა და მეორისაც სადერდელი თურმე ?) დიდი გვქონდა აშლილი!

ასეთი სამწუხარო ფიქრები ამეშალა მე ვაგლახს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წარსულ წლიურ კრების გამო.

... დილითვე ორი ჩვენი გაზეთი რიხიანად იუწყებოდა, რომ ბრძოლა გაბედული და თავგამოდებული იქნებოდა. და მეც, გამოგიტყდებით, გულის ფანცქალით გავწიე კრებისაკენ, იქნება მართლაც სამართლიანი მხილება ვისიმე მოვისმინო, „ახალი აზრი, დალაგებით სჯა-ბაასი, დასაბუთება“, ერთი სიტყვით, რიგიანობა შევატყო ჩვენს ახალ-გაზრდა მებრძოლებს-მეთქი...

მაგრამ, ვაი, რომ მოვტყუვდი! თუ წინად მარტოდ ზეზეურობა და უთავბოლო ყვირილი გვაბეზრებდა ხოლმე კრებებზედ თავსა, და ისიც ახალგაზრდების მხრივ,—ახლა ძველებიდგანაც გასჩენიან თურმე მიმბაძველნი და ისიც ახალის ტიპისანი, რომელთა წაბაძვაც უთუოდ ახალგაზრდებსაც-კი არაფრად ესახელებოდათ...

დამსწრეთაგან, რომელთა რიცხვიც ამ ჟამად საზოგადო კრების დაწყებისათვის საჭირო რაოდენობას ბევრით აღემატებოდა, პირველადვე ორი მებრძოლი დასი გამოინასკვა, რომელთაც ოდნავი შეთანხმება თითქოს ეტყობოდათ, მეტადრე საარჩევნო კანდიდატების სიით, რომელსაც აგიტატორები წევრებს ჩუმად ჩასჩურჩულებდნენ ყურში... მაშასადამე, თუ ერთის მხილება აჩქარებული იქნებოდა, მეორეს უთუოდ უნდა გაეფრთხილებინა, „აზრთა შეტაკებას“ სამხილებელი მოქმედება ძველის გამგეობისა დაწვრილებით გამოერკვია, გამოეაშკარავებინა... ერთი სიტყვით, სამართლიანობა ამ შემთხვევაში უთუოდ ყველა სიტყვასა და აზრს დასჩნეოდა, მეტი დალაგება და სიმტკიცე გამოეჩინა ოპოზიციას... მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

არც ერთი მხილება ოპოზიციისა არ გამოდგა იქამდის დასაბუთებული, რომ ამის გულისათვის გამგეობის წევრნი სამარცხვინო ბოძზედ ვისმე განერთხო, ჩაექვავებინა; პირიქით, მხილებამა და გამგეობის მიერ თავის მართლებამ, რასაკვრელია, საბუთებით და არა ისე ზეზეურად, როგორც ეს ოპოზიციამ ინება, დაამტკიცა, რომ თუ რამ ცუდი სჭირს ჩვენს საზოგადოებას, ამისი მიზეზი ისევ ერთი მხრივ უსაღსრობაა და მეორე მხრივ საზოგადოების წევრთავე გულგრილობა... რაიცა ერთმა ჩვენმა დიდის ხნის საზოგადო მოღვაწემ უბრალოდა და აუღელვებლივ აღნიშნა თავისს სიტყვაში.

ჩვენმა ოპოზიციონებმა-კი ისიც ვერ მოახერხეს, რომ, თუ მხილება ვისიმე უნდოდათ, მადლობა ღმერთს, ანგარიში მაისს აქეთ მათ ხელთ იყო, სამხილებელი მუხლების დასასაბუთებლად თვით საზოგადოების გამგეობის ანგარიშებისათვის მიემართნათ, ყველაფერი რიგზედ აეწონდაეწონათ, გაეგოთ, რატომ მოხდა, რომ საზოგადოების სკოლებში მასწავლებლები მოსწავლეებს ვერ ასდიან, რატომ მოხდა, რომ ერთობ მცირე იხარჯება გაზეთების დაბარებაზედ, ან სახალხო წიგნები არ იბეჭდება... და შემდეგ ისე ესაყვედურნათ.

ერთიც და მეორე საოპოზიციო დასიც ამ მხრივ სუსტად შეიარაღებული გამოდგა, უნიადაგოდ მოლაპარაკე; სახელმძღვანელოდ მოქმედისათვის არა წარმოადგინა-რა, გარდა თავისს კანდიდატთა სიისა, რომელიც, რასაკვრელია, საქმეს ვერ აღადგენს. ახალი კაცები იქნება თვალს იამოს, თორემ არსებითად საქმეს ვერ გამოაკეთებს, იმედები ტყუილია. პირ-იქით, არჩევნების ციებ ცხელებით გატაცებამ ბევრი იქამდის გაამწვავა, რომ ნათქვამის უაზრობას აღარად იჩნევდნენ, ყველასათვის და ყველგან წმიდათა-წმიდად ნაღიარებს წესს ჰგმობდნენ... რაიცა დიდი ხანია ჩვენს კრებებზედ აღარსად გვახსოვს გაგვეგონოს.

მეორე მხრივ, გვაკვირვებს გაზეთების სახელმძღვანელო წერილების ხასიათიც. ის, რაც კვირას სამხილებლად იყო ცნობილი, ორის დღის შემდეგ უარყოფილი ხდება. მაშასადამე, რაღატომ ჩქარობდნენ და თვითვე სჩადიოდნენ იმას, რასაც სხვებს უსაყვედურებენ? მაგრამ ისევ არჩევნების ციებ-ცხელებაა ვგონებთ, მიზეზი, სხვა არასფერი. საქმე-კი მოქმედებასა და ნამდვილს გულ-შემატკივრობასა თხოულობს.

ვნახოთ დღევანდელი დღე რაღას გვეტყვის.

დამოუკიდებელი.

---

## გ ა კ ვ რ ი თ.

### „აირია მონასტერი!“...

ტრაგი-კომედია ერთ მოქმედებად.

მომქმედნი პირნი:

ქ-ნი გამგეობა,—მოხუცი ქალი, დარბაისელი, ძველის ტრადიციების მიმდევარი.

ქ-ნი პედაგოგია, ამისი მახლობელი ნათესავი, შუა ხნისა, კეკლუცი, ფერ-უმარილს ისვამს, გაუთხოვარია.

შუახნის შიკრიკი, ახალგაზდა შიკრიკი, სხვა შიკრიკი — ქ-ნ გამგეობის ძმისწულები.

პირველი ინტელიგენტი, მეორე ინტელიგენტი, მესამე ინტელიგენტი — ძმა-ბიძებია.

ბ-ნი დასი, ახალგაზდა კაცი, მოუხეშავი.

პირველი სტუმარი, მეორე სტუმარი — დასის მეგობარნი.

დასის ამალა, სხვა შიკრიკნი, დარაჯნი მხლებელნი და სხვანი.

#### გამოსვლა პირველი.

ბ-ნი დასი, პირველი სტუმარი, მეორე სტუმარი და დასის ამალა.

**ბ-ნი დასი.** ბატონებო, მე მოგიწვიეთ ფრიად და ფრიად დიდის საქმისა გამო. აქ, აი ამ დარბაზში, დაპუდებულა ის მავნე ბრბო, რომელიც ჩვენ უნდა დავამხოთ დღეს. ყველას მოგეხსენებათ, რა მავნებელია ეს ბრბო ქვეყნისათვის. ჯერ ერთი—იმის წევრნი ყოველდღე ჩიხითმასა სჭამენ...

**პირველი სტუმარი** (გააწყვეტინებს), მეორე—სუყველას ახალი და ჭრელი შარვლები აცვიათ და...

**მეორე სტუმარი** (გააწყვეტინებს) მესამე—ყოველ დღე პირს იბანენ... და გაიძახიან, .

**ბ-ნი დასი**, უნდა მოგახსენოთ, ბატ...

**პირველი სტუმარი**. ჩემის აზრით...

**მეორე სტუმარი**. აქ სიჭიროა...

**ამალა** (დაიყვირებს) გაუმარჯვეს დასს!.. ჩვენ წინამძღოლებს. (შემოდის ქ-ნი პედაგოგია. მოკლე კაბა აცვია და დიდ ფრთებიანა შლიაპა ჰხურავს)

**ქ-ნი პედაგოგია** (თავისთვის). უი, ქა, ე რა სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები არიან, სულ ახალგაზრდანი და ლამაზნი...

**პირველი სტუმარი** (მეორეს). ბიჭოს, ეს რა კარგი გოგონაა... მართალია, ხანში შესულია, მაგრამ არა უშავს-რა...

**მეორე სტუმარი** (პირველს) შეხე, შეხე, როგორ იპრანჭება!

**ქ-ნი პედაგოგია** (კოპწიაობს). ბატონებო, ნებას მიბოძებთ, თქვენს კეთილ-შობილთა კრებულში ჩავერიცხო?

**ბ-ნი დასი** (ჰალსტუხს ისწორებს). დიდის სიამოვნებით! დაბ-

---

აუდიტორია უნდა იყვეს საზოგადოებისთვის?!..

კიდევ კარგი, რომ მჭევრობას საქმიანობა და ცოდნა ეტყობოდეს, მაგრამ ხშირად ესე არ არის—უფრო ლაპარაკობენ... ლაპარაკისთვის. ამას ზედ უნდა დაურთოთ ერთი პსიხოლოგიური ფაქტიც. ჩვენებურს კრებაზედ მეტად ხშირია პრანჭიაობა, თავის მოტანა, „ლიბერალობით“ კეკლუცობა. იშვიათად თუ გულ-ახდილად მსჯელობენ,—უფრო იმას სცდილობენ, რომ თავი მოაწონონ, „ვაშა“ დაიმსახურონ. და მართლაც, იმაზედ სასაცილო და სამწუხარო რაღა უნდა იყვეს, როცა სულთამხუთავი მაჯლაჯუნა, რომელიც საზოგადოებრივს წარმატებას ყელში ხელს უჭერს, ფარისევლურად ლიბერალობს და კრებას თავს აწონებს. რამდენია ამის მაგალითი!..

⁂

ბრძოლა და კამათი ხომ ჩვენებურის კრებისა გასაკიცხია. აქამომდე ჩვენს ვაჟ-ბატონებს ვერ შეუგნიათ ის ტრუიზმიც-კი, რომ აზრთა ბრძოლას და შეტაკებას საგნად სიმართლისა და ჭეშმარიტების გამორკვევა აქვს. ჩვენებური ბრძოლა კი სულ სხვანაირია: ჩვენში უმეცარი მეცნიერს ებრძვის, უვიცი მცოდნეს. ეს კიდევ არაფერი,—ბრძოლას ნიშანში რომელიმე პირი აქვს ამოღებული და სულ იმ ცდაშია, რომ იგი პირი შელახოს, შეურაცხყოს. სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებულია და სადაც დასთა სხვა-და-სხვაობა არსებობს, იქმნება, ასეთს ბრძოლას თავისი საბუთი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენში კი პიროვნების თრევა და თელვა ყოვლად უაზრო და უზნეო ვარჯიშობაა და სხვა არაფერი. ევროპაში, მაგალითებრ, თვითოეული საზოგადო მოღვაწე ასეთისა, თუ ისეთის მოძღვრების და დროშის წარმომადგენელია და როცა იმ მოღვაწის პიროვნებას ებრძვიან, ნება უნებურად, იმავე დროს იმის მოძღვრებას ჰლახვენ. ჩვენში?—ჩვენში სად არის ჯერ დასობა, სხვა-და-სხვა დროშა, მოძღვრება?! ამ ბოლო დროს რაღაც „მესამე დასი“ ჩაისახა და ისიც ჩვენის მიწა-წყლისა არ არის და უცხოეთიდგან „უბაჟოდ“ შემოტანილია... ხოლო ამ დასს წინ დაუხედავად იერიში მიაქვს ყველა ჩვენს დამსახურებულ და მხცოვან მოღვაწეზედ იმიტომ, რომ ეს მოღვაწენი მარტოოდენ „ლიბერალნი“ და „პატრიოტნი“ არიან და არ აღიარებენ იმ მოძღვრებას, რომელიც... მაგრამ ამას თავი დავანებოთ, თორემ შორს წაგვიყვანს.

წერა-კითხვის საზოგადოების წარსულ კრებაზედ ხსენებული დასი დიდის ზარითა და ზეიმით გამოვიდა საიერშოდ (კინაღამ არ წამომცდა-სათარეშოდ!), მაგრამ არ დასცალდა. ამბობენ, სწადიანთ, რომ მთლად შემუსრონ ძ დაამხონ ძველი გამგეობაო. კარგი ძ პატიოსანი, მაგრამამ შემუსვრასა და დამხობას ხომ დიდი სიფრთხილე ესაჭიროება. წერა-კითხვის საზოგადოება ისეთი სათუთი და ნაზი დაწესებულებაა, რომ სულ მცირე და უბრალო თავხედობას, იმის წინააღმდეგ მიმართულს, ვინ იცის, რა ცუდი შედეგი მოჰყვეს. უიმისოდაც ამ საზოგადოებას მრავალი განსაცდელი გარეშემო ახვევია და ახლა კიდევ სათარეშოდ მიიწევენ... გამგეობის განახლების წინააღმდეგი არვინ არის და სწორედ საჭიროც არის განახლება, მაგრამ ყველას თავისი შესაფერი საშუალება და გზა აქვს. ბუკითა და ნაღარით იერიშის მიტანა გამგეობაზედ, დაწესებულებს დიდად აზარალებს, თუ-კი ძირს არ დასცა. გამგეობა მარტო იმიტომ-კი არ უნდა გამოიცვალოს, რომ იქ იმყოფებიან ისეთნი, რომელნიც არ ეპრიანებათ მარკსიანებს. არა, ამ შემთხვევაში ადლი და ალაბი სხვა უნდა იყვეს. კანდიდატნიც შესაფერნი უნდა დაასახელონ. ყველა გამოუცდელი და საზოგადო საქმეში გაუწვრთნელი ვიჩგინდავინ, თუნდა იგი მარქსის ქურუმიც იყვეს, არ გამოდგება. სამწუხაროდ, ჩვენის ინტელიგენციის ერთს ჯგუფს არად ეპიტნავება ამა თუ იმ მოღვაწის ავტორიტეტი, — ესეთი ავტორიტეტი ბრმა კერპთაყვანის მცემლობაა, საზოგადო წარმატებას აბრკოლებს, აზრის თავისუფლებას აფერხებს და ჰხუთავსო!.. ასეთი უკიდურესობა ჩვენს საქმეს ვნების მეტს არას მოუტანს. ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ ავტორიტეტი, სადაც არა მოგვეპოვება, იქაც-კი უნდა გავიჩინოთ და არა უარ-ვყოთ, გავდევნოთ. დიაღ, წინდახედულობა, დინჯობა, გონების დახმობა და გულის სპეტაკობა,—აი რით უნდა ვიხელმძღვანელოთ დღეს, როცა საქვეყნო საქმისთვის შევკრებილვართ.

მაგრამ დამავიწყდა, რასაც ზემოდ ვამბობდი. ჩვენებური ბრძოლა ცალიერი თარეშობაა და საერთო არა აქვს-რა იმ ბრძოლასთან, რომელიც აზრთა და იდეათა სამეუფოში სწარმოებს. ქართული საზოგადოებრივი საქმე აქამომდე ხშირად დამოკიდებულია ხოლმე სტიქიონურს ძალაზედ, ბრბოს გავლენაზედ. აბა მოიგონეთ, რაც წინად ხდებოდა საბანკო კრებაზედ. ცოტას გაწყდა, კინაღამ საქვეყნო საქმე არ დაიღუპა. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ხიფათს გადავრჩით. ნუ თუ ახლაც ხიფათის უნდა ხელში ჩაუც ივარდეთ?

Plebs.

ჩანდით, თქვენ ისეთი მშვენიერება...

**ქ-ნი პედაგოგია** (თვალებს დაჰხრის). რასა ბრძანებთ!..

გამოსვლა მეორე

პირველი შიკრიკი, შემდეგ გამგეობა, სხვა შიკრიკნი, დარაჯნი და მხლებელნი.

**პირველი შიკრიკი**. ქ-ნი გამგეობა მობრძანდება... (შემოდის გამგეობა, ძველი მოდის კაბა აცვია; უკან მისდევენ შიკრიკნი, მხლებელნი და დარაჯნი. ერთს შიკრიკს ზარა მოაქვს).

**ქ-ნი გამგეობა** (გამოართმევს შიკრიკს ზარას, დიდხანსა ჰრეკავს და შემდეგ ამბობს ხრინწიანის ხმით) დილა კარგა ყოფნისა, ბატონებო! (ზარს დააწკარუნებს). რაკი ყველას აქა გხედავთ, ერთი დიდებული აზრი უნდა მოგახსენოთ. ეს სამი წელიწადია, ჩვენა ვფიქრობდით, ვსაზრობდით, ვარკვევდით და ბოლოს ის გამოვიყვანეთ, რომ თუ ორ ნახევარ წელიწადს კიდევ ვისაზრებთ, საქმე საკეთილოდ დაბოლოვდება.

**ქ-ნი პედაგოგია** (უცბად წამოვარდება) ტყუილია, ტყუილი! (ღიმილით გადაჰხედავს ბ-ნს დასს, სტუმრებსა და ამალას). მე ნათესავი ვარ გამგეობისა და ვამოწმებ, რომ მას არც უსაზრია და არც უფიქრია .. მთელი სამი წელიწადი თავზედ ინას ისვამდა ჩხოლ ოდ... (დასის ამალა გაცხარებით ტაშს უკრავს).

**ახალგაზრდა შიკრ.** ბატონებო, აქ მოხუცსა და დარბაისელ მანდილოსანს შეურაცხყოფას აყენებენ. მე მაგას ვერ მოვითმენ... ქ-ნი პედაგოგია, რომელიც ასე თამამად გაიძახის...

**ქ-ნი პედაგოგია**. უი ქა, შეიძლება ასეთის ბიაბრუების მიყენება, მე ამ საათში ისტერიკა მომივა!..

**ბ-ნი დასი** (დიდის რიხითა და სითამამით ლაპარაკობს). დიაღ, პატივცემული პედაგოგია მართალია, ხოლო რომ მართალია, ეს იქიდგანა სჩანს, რომ მე ვამოწმებ და ვეთანხმები. ბატონებო, ქვეყანა სულ სხვა ნაირად ტრიალებს და არა ისე, როგორც თქვენა გგონიათ. ქ-ნი გამგეობა და ყველა ისინი, ვინც იმას ახვევიან სულ ბებრულად ფიქრობენ. მთელი უბედურება ჩვენის საქმეებისა ბებრობაშია. შორს ბებრები! გაუმარჯოს ახალგაზრდებს!

**მეორე ინტელიგენტი**. სულაც არა... ბებრობა აქ რა მოსატანია... მე დავრწმუნდი, რომ ქ-ნი გამგეობა, თუმცა ბებერია, მაგრამ ყოჩაღი და გამოცდილია. თუ თანაშემწეს უშოვნით, ეგრედ წოდებულს, რევიზორს, საქმეებს მშვენივრად წაიყვანს...

**ამალა** (ყვირის) შორს ბებრები! გაუმარჯოს ახალგაზრდებს!

**მესამე სტუმარი**. ეხლა მე მინდა ვილაპარაკო... სიბერე ხომ სიბერეა, მაგრამ სხვა მიზეზებიც არის. კონცენტრაციის კანონის ძალით, ქვეყანა უნდა ბორგავდეს, ტოკავდეს და ღელავდეს; გამგეობა ღ იმისი მეგობარნი-კი სხედან, სულ სხედან და სხედან... გაუმარჯოს ტრიალს, გაუმარჯოს ახალგაზრდებს!

**ამალა** (ყვირის). გაუმარჯოს ტრიალს, გაუმარჯოს ახალგაზრდებს!

**პირველი ინტელიგენტი**. მე თუმცა პატარა კაცი ვარ, მაგრამ ყველაფერს კარგადა ვხედავ. ბებრობისა და ჯდომის გარდა ისიც არის, რომ გამგეობას ყოველთვის მაღალ ქუსლებიანი ფეხსაცმელი აცვია. აი, ბატონებო, მაღაზიის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ წარსულ კვირას შვიდი მან. და ათი შაურის ფეხსაცმელი წაუღია.

**მეორე შიკრიკი**. ეგ წვრილმანია...

**მესამე ინტელიგენტი**. (ხელების ქნევით ლაპარაკობს) მართალია, მართალი! მაღალ ქუსლებიანი ფეხსაცმელი აცვია... ესეც არ იყოს, ძილის დროს ქ-ნმა გამგეობამ ხვრინვა იცის...

**შუახნის შიკრიკი**. მე მოუხერხებლად მიმაჩნია ბ-ნ დასის სიტყვები. ბებერიაო, ამბობს. ერთ დროს ბ-ნი დასი იმდენად დაახლოვებული იყო, რომ იმასთან ვალსს თამაშობდა; შემდეგ რაღაც მიზეზის გამო დაშორდნენ...

**ბ-ნი დასი**. (გაწიწმატებული) ბატონებო, შეურაცხყოფას მაყენებენ აქა! ჩემ კერძო ცხოვრებას ეხებიან... ვის რა საქმე აქვს, ბებრებთან ვალსსა ვთამაშობდი, თუ არა... (შიკრიკს) რად მეუბნებით მაგას.. თქვე... თქვე უკბილო, თქვენა!..

**ამალა** (ხმა მაღლა ყვირის). მართალია, მართალი!..

**ქ-ნი გამგეობა** (ორის ხელით ზარსა ჰრეკავს) საზოგადოების შეურაცხყოფაა... ამიტომ...

**მეორე ინტელ.** (გაცხარებული) რადგანაც რომა... წარმოსდგა ეს საქმე იმ მიზეზით... ვინაიდგან...

**სამი შიკრიკი** (ერთად, ხმა მაღლა) ასე მიპყრობა არ შეიძლება... წესი და რიგი...

**ქ-ნი პედაგოგია**. ბ-ნი დასი მიიყვანეს იმ ზომამდე..,

**პირ. სტუმარი**. ბ-ნი დასი ძალიან ზრდილობიანი კაცია. იცის როგორ უნდა სჭამოს ფლავი, ან დალიოს ზელტერის წყალი... ხოლო თუ ზემოხსენებული სიტყვა სთქვა, იმიტომ, რომ შიკრიკმა თავისი невоси..

**ამალა** (ტაშს უკრავს) ვაშა! ვაშა!

**ქ-ნი პედაგოგია**. დიაღ, დიაღ, შიკრიკის ბრალია...

**ახალგ. შიკრიკი**. აი, შე მოღალატევ! ეთიკის არ დამცველო! (სწვდება ბანტში და მოაგლეჯს. პედაგოგია შეჰკივლებს).

**ბ-ნი დასი** (ამალას) ჰკა, მაგათ... (ყველანი წამოცვივდებიან. ასტყდება ხმაურობა. შიკრიკები ქ-ნ პედაგოგიისაკენ მიიწევენ. ამალა გარს შემოეხვევა პედაგოგიას და იცავს. ქ-ნი გამგეობა გაცხარებული ზარსა ჰრეკავს).

**ქ-ნი გამგეობა**. რადგანაც მე ეხლა მეძინება, გთხოვთ შინ წაბრძანდეთ და **კვირას** შეიკრიბოთ! (გავა. ასტყდება საერთო ხმაურობა და აურ-ზაური).

(ფარდა ნელ-ნელა ეშვება.)

შაორისპირელი

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

2 ნოემბერი.

**ხარკოვი**. „ხარკოვის გუბერნიის უწყებებში“ სწერია: ნამდვილი საბუთები იმისი, რომ იმ თვის 16-ს სოფელს პავლოვსკში, სუმის მაზრაში მომხდარი ამბავი ნამდვილად ასეთია: „დილის 6 საათზე ოქტომბრის 16-ს მწვალებელთა ბრბო, რამდენიმე ათი კაცისაგან შემდგარი, გლეხის გრიგო პავლენკას წინამძღოლობით გამოვიდა ქოხიდან, რომელშიაც წინადამით რაღაც მოლაპარაკება ჰქონდათ. სამოციოდე მწვალებელი მრავალ ცნობის მოყვარეთა და გაოცებულ მართლ-მადიდებელთა თანხლებით გაემართნენ ეკკლესია-სკოლისაკენ, რომელშიაც იმ კვირა დღეს წირვა ირ იყო, რადგანაც წინა დილით გავრცელდა ხმა, რომ მწვალებელნი რაღაცას აპირებენ ეკკლესიის წინააღმდეგო. თვით ეკკლესია-სკოლას გარშემო პოლიციელები და სოტსკები დააყენეს. პოლიციამ უბრძანა ბრბოს დაშლილიყო. მწვალებლები არ დათანხმდნენ, შემოერტყნენ პოლიციელებს და იარაღი ახადეს მათ. მხოლოდ ერთი ურიადნიკი გაიტაცა ცხენმა ბრბოდან. იმ ეკლესია-სკოლას რომ მიუახლოვდნენ, მწვალებლებმა დაუწყეს ეკლესიის გალავნის კარებსა და ეკლესიის კარებს მტვრევა, შეამტვრიეს და შევარდნენ შიგა. მწვალებლებმა ეკლესიაში საზარლად ჰგმეს ღმერთი. იმდენად აღმოჩნდნენ ურჯულოები, რომ ერთმა მწვალებელთა ქალმა სულ კბილით დაგლიჯა ტრაპეზის გადასაფარებელი. ამ საშინელს საქმეში წინააღმდეგობა ვერავინ ვერ გაუწია, რადგანაც მართლ-მადიდებელთაგანი არავინ იყო ახლო. აქედან მწვალებლები, რომელთაგან ზოგიერთები ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი, გაემართნენ ქვითკირის ეკლესიისაკენ, რომელშიაც ლოცვად იდგნენ. მღვდელმა რო ბრბოს სამტროდ მიუახლოვება გაიგო, ცისკარი შესწყვიტა. სტანის ბოქაულმა უბრძანა ბრბოს დაშლილიყო, მაგრამ ეტლი, რომელშიაც იჯდა, გადაუბრუნეს და იმასაც სცემეს. შემდეგ მწვალებლები მიუახლოვდნენ ეკკლესიას. აქ დახვდნენ მათ მართლ-მადიდებელნი, რომელთაგნა ზოგი იქვე იყვნენ და ზოგი ზარების რეკაზე შეიყარნენ. მმართლ-მადიდებლები შეიარაღდნენ სარებითა და ქვებით, და გაიმართა ჩხუბი, მათგანი დაშავდა მხოლოდ ეკკლესიის მნათე, მწვალებლებს-კი კი ძალიანა სცემს. მეორე დღეს ერთი მწვალებელთაგანი გადაიცვალა. ბოქაულმა სული მოითქვა რა ცემისაგან, მაშინვე შეუდგა ძიებასა და და დამნაშავეთა შეპყრობას. დამნაშავეთა რიცხვში 47 კაცია და 20 ქალი.—ეს სამწუხარო ამბავი სარწმუნოებრივ-ფანატიკოსობის შედეგია, მას, რამდენადაც ეტყობა, პოლიტიკური არა ურევიარა. „გუბერნიის უწყებები“ უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომც ოთხი იყოს მკვდარი და მღვდლის ცოლი შიშისაგან გადაცვლილიყოს.

**მოსკოვი**. ნოემბრის 2-ს საძირკველი ჩაჰყარეს იმ შენობისა, რომელსაც აშენებენ დევიჩის ველზე 150 სტუდენტისათვის.

3 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. შავიჭირთან მებრძოლი კომისია აცხადებს: „იმ თვის მეორე ნახევარში ადესაში ორი გახდა ავად და ორნივე ავადმყოფნი გადიცვალნენ, ექიმებს ეჭვი აქვთ, რომ ორნივენი შავიჭირით იყვნენ ავად. მეორე ავადმყოფი მიიცვალა ოქტომბრის 26-ს. მას შემდეგ საეჭვო სენით არავინ გამხდარა ავად, მიღებულია ყოველგვარი ღონის-ძიებანი სენის საწინააღმდეგოდ. ამ ჟამად ადესაში იმყოფება ბაქტერიოლოგიო, რომელიც საგანგებოდ არის გამოგზავნილი რომ სენის ხასიათი გამოიკვლიოს

**ლონდონი**. კიტჩენერი პრეტორიიდგან იწერება; პოლკოვნიკმა ხინმა, გაიგო-რა, რომ ბურებ თავს იყრიდნენ შენსპრუიტიდან დასავლეთით, გაგზავნა ბრაკსპრუიტიდან ძლიერი პატრული ოქტომბრის 31-ს მტრის დასაზვერად. გაგზანილებს ყოველმხრიდან შემოერტყნენ ბურები, რიცხვით 300, მოუკლეს მათ ექვსი კაცი დაუჭრეს თექვსმეტი და ტყვედ კი ბევრი წაიყვანეს. ტყვეები შემდეგ გამოუშვეს. მაშინ თვით ხინმა წაიწია წინ და განდევნა ბურები. კიტჩენერივე იტყობინება, რომ უკანა ჯარს პოლკოვნიკის ვინერისას თავს დაესხა 400 ბური დევეტის წინამძღოლობით ხეილბრენის ახლო. ორის საათის ბრძოლის შემდეგ ბურები განდევნეს, რომელთაც დასტოვეს რვა მკვდარი. ინგლისელებს მოუკლეს: ერთი აფიცერი, ერთი სალდათი; დაუჭრეს სამი აფიცერი და ცხრა სალდათი.

**პეკინი**. პრინცი ცუნი მოვიდა აქ ტაკუდან და მიემართება კოფინში, სადაც იმპერატორს წარუდგენს მოხსენებას თავის ელჩობისას ევროპაში.

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ,) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.), ტფილისში შამოდის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს 47 წ. (7 ს. 45 წ.)


# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

დაეძებს სადგომების პირველ და მეორე საქალაქო ღამის სათევ თავშესაფარებისათვის. სადგომები რაც შეიძლება ქალაქის შუაგულის მახლობად უნდა იყოს, პირველ თავშესაფარისთვის სადგომი საჭიროა ამა 1901 წლის 1 დეკემბრიდგან, მეორისათვის—1902 წლის 1 მარტიდგან.

თითო სადგომში ასის კაცის მოსათავსებელი ადგილი უნდა იყოს და ამას გარდა ცალკე ოთახი ზედამხედველისათვის, აგრეთვე სამრეცხაო, სამზარეულო და შეშის დასაწყობი.

ვისაც ჰსურს სადგომის გაქირავება, უნდა მიჰმართოს განცხადებით გამგეობის მეოთხე განყოფილებას ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**М. МИРИМАНЯНА**

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.